# დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

*საქართველოში საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის პროექტი*

2022 წ.

# დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

*საქართველოში საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის პროექტი*

2022 წ.

**საჯარო დოკუმენტი**

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ)**

მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ. №150, მე-3 სართული, 0112, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: (99532) 2437001; 2437002; 2437003; 2437004
ფაქსი: (99532)2437077
Email: mdf@mdf.org.ge

*სარჩევი*

**1. შესავალი ..... 4**
1.1. ზოგადი ინფორმაცია ..... 4
1.2. გეგმის მიზანი ..... 4
1.3. გეგმის მოქმედების სფერო ..... 6

**2. ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ ..... 7**

**3. კონსულტაციები და ინფორმაციის საჯარო განხილვა ..... 8**
3.1. ეროვნული საკანონმდებლო მოთხოვნები ..... 8
*მოცემული პროექტის მოთხოვნები ..... 8*
3.2. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მოთხოვნები ..... 9
3.3. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების არსებული პროგრამები ..... 9

**4. დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება ..... 11**
4.1. მოწყვლადი ჯგუფები ..... 14

**5. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროგრამა ..... 16**
5.1. ინფორმაციის გასაჯაროება ..... 16
5.2. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროგრამა ..... 16
*მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გარემოსდაცვით და სოციალურ (E&S) საკითხებთან დაკავშირებული შეხვედრები ..... 28*
*შეხვედრების შენობების წარმომადგენლებთან ..... 28*
*მხოლოდ ქალების (სადაც საჭიროა) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ფოკუს ჯგუფები ..... 29*
*ციფრული მედიის ჩართულობა ..... 30*
*შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან ..... 30*
*შეხვედრები ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (EBRD) გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე (E&S) ..... 30*

**6. ანგარიშგება და გასაჩივრების მექანიზმი ..... 31**
6.1. მონიტორინგი, ანგარიშგება და გამოხმაურების მექანიზმი ..... 31
6.2. გასაჩივრების მექანიზმი ..... 31
6.3. საჩივრის გადაწყვეტა ..... 32
6.4. ფუნქციები და პასუხისმგებლობები ..... 34

**დანართი I – გასაჩივრების პროცედურა და საჩივრის ფორმა ..... 35**

**დანართი II – შენობების ჩამონათვალი ..... 38**

# 1. შესავალი

## 1.1. ზოგადი ინფორმაცია

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმას საქართველოს საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის პროექტისთვის. დოკუმენტი ახდენს შესაბამისი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს კომუნიკაციის იმ არხებსა და გეგმებს, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოში ენერგოეფექტურობის ღონისძიებების დანერგვასთან.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის წინამდებარე გეგმა მოიცავს ეროვნული კანონმდებლობის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) 2014 წ. გარემოსდაცვითი და სოციალურ პოლიტიკის (ESP), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) შესრულების მე-10 მოთხოვნის: ინფორმაციის საჯარო განხილვა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, ევროკავშირის (EU) დირექტივებისა და ინფორმაციის საჯარო განხილვასთან დაკავშირებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვას. გეგმაში განხილულია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და საჯარო კონსულტაციების ზოგადი მიდგომა.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა განახლებად დოკუმენტს წარმოადგენს და ექვემდებარება პერიოდულ გადახედვას - პროექტის განხორციელების პროცესში. მისი განახლება მოხდება საჭიროებისამებრ, ახალი აქტივობების დაწყების ან საქმიანობის ცვლილების შესაბამისად, ასევე, ტექნიკური პროექტის ცვლილებისას ან ახალი დაინტერესებული მხარეების გამოვლენის შემთხვევაში.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის კონკრეტული მიზნები დეტალურად განხილულია ქვემოთ.

## 1.2. გეგმის მიზანი

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა არის საჯარო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს განმახორციელებელი უწყების ვალდებულებებს, რომელიც დაკავშირებულია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან, კონსულტაციებთან და ინფორმაციის საჯარო განხილვასთან და უკავშირდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ შემოთავაზებულ ინვესტიციას ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განსახორციელებლად.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, როგორც სახელმწიფო უწყება პასუხისმგებელი იქნება პროექტის განვითარებაზე და აღნიშნული პროექტის ფარგლებში გაუმჯობესებული ენერგო ეფექტური ღონისძიებების დანერგვაზე. საზოგადოებას ექნება დოკუმენტზე წვდომის და მისი განხილვის შესაძლებლობა (ქართულ და ინგლისურ

ენებზე) მუნიციპალური განვითარების ფონდის სათაო ოფისში [1] (თბილისი) და მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე[2].

წარმოდგენილი გეგმის მიზანია დადგინდეს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს პროექტის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და როგორ უდნა შენარჩუნდეს გრძელვადიანი ურთიერთობა საქართველოში საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის პროექტსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. გეგმა ასევე მიზნად ისახავს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი იყოს ინფორმირებული, გაუმჯობესებული და გაადვილებული, რაც გულისხმობს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების და სხვა დაინტერესებული მხარეების ინკლუზიურ და დროულ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. ასევე, ამ გეგმის მიზანია, რომ აღნიშნულ ჯგუფებს მისცეს პროექტის შესახებ საკუთარი შეხედულებების სათანადოდ გამოხატვის შესაძლებლობა.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის წინამდებარე გეგმა მოკლედ აღწერს უკვე ჩატარებულ საჯარო კონსულტაციებს და განსაზღვრავს იმ აქტივობებს, რომლებიც განხორციელდება პროექტის ფარგლებში, ენერგოეფექტურობის ღონისძიებებთან დაკავშირებული პოტენციური ზემოქმედებების შესახებ დაინტერესებულ მხარეების ინფორმირების მიზნით.

გეგმა მოიცავს დაინტერესებულ მხარეთა საიდენტიფიკაციო ცხრილს, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია დაინტერესებული მხარეების, შესაბამისი საკომუნიკაციო არხებისა და სტრატეგიების, ინფორმაციის საჯარო განხილვის საჭიროებებისა და საჩივრების პროცედურის შესახებ, რომელიც მომავალში დაინერგება. თუ არსებობენ დაინტერესებული მხარეები, რომლებიც არ არიან ჩართულნი ამ გეგმაში, ისინი შეძლებენ პროექტის შესახებ ინფორმაციის მიღებას ზემოთ წარმოდგენილი კონტაქტის საშუალებით - თბილისში და 6.4 პარაგრაფში (ფუნქციები და ვალდებულებები) მითითებული კონტაქტის დახმარებით, რის შემდეგაც ისინი ჩაერთვებიან აღნიშნული გეგმის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამაში.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის კონკრეტული მიზნები მოცემულია ქვემოთ:

- საპროექტო არეალის განსაზღვრა;
- ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების და სხვა დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, (მათი) ადგილმდებარეობის განსაზღვრა და შეფასება; ასევე, დადგენა იმისა, თუ რა ზემოქმედება შესაძლოა მოახდინოს მათზე პროექტმა, ან რატომ უნდა დაინტერესდნენ ისინი პროექტით;
- დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი პროექტის დაინტერესებული მხარეების შესასწავლად, რათა უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისი მეთოდები და საშუალებები მათი ჩართვისთვის;
- კონსულტაციებისთვის სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეების პროექტში ჩართვის საშუალებას იძლევა;

[1] დავით აღმაშენებლის გამზ. #150, მე-3 სართული, 0112, თბილისი, საქართველო

[2] mdf@mdf.org.ge

- უზრუნველყოფა იმისა, რომ დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ დროული წვდომა პროექტის საქმიანობებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე;
- უზრუნველყოფა იმისა, რომ დაინტერესებული მხარეებისთვის მიწოდებული ინფორმაცია გასაგებია, ხოლო კონსულტაციების ჩატარების ადგილმდებარეობა მისაწვდომია ყველასთვის, ვისაც სურს დასწრება;
- უზრუნველყოფა იმისა, რომ ყველა მოწყვლადი ჯგუფი იდენტიფიცირებულია და მათთან ჩატარებულია კონსულტაციები;
- გასაგები მექანიზმის დანერგვა დაინტერესებული მხარეების კითხვებზე, პრობლემებზე და საჩივრებზე რეაგირებისთვის; და
- ფორმალურ კონსულტაციებთან და ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებული აქტივობების დოკუმენტურად ასახვა, დაინტერესებულ მხარეთა მონიტორინგის და ჩანაწერების მართვის სისტემის განსაზღვრა.

## 1.3. მოქმედების სფერო

მოცემული გეგმის მოქმედების სფეროა მუნიციპალური განვითარების ფონდის ოპერირება საქართველოში საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის პროექტის ფარგლებში, მათ შორის, კონტრაქტორის საქმიანობა. გეგმა შედგება შემდეგი თავებისგან:

- თავი 2 - ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ;
- თავი 3 - კონსულტაციები და ინფორმაციის გავრცელება;
- თავი 4 - დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება;
- თავი 5 - დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა;
- თავი 6 - ანგარიშგება და საჩივრების მექანიზმი.

# 2. ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) განიხილავს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსურ უზრუნველყოფას, ქვეყნის მასშტაბით 200-მდე საჯარო შენობის ენერგოეფექტურობის განახლებისა და რეაბილიტაციის თანადაფინანსების მიზნით.

სკოპინგის კვლევა, რომელიც განხორციელდა საქართველოში საჯარო შენობების ანალიზისთვის, დასრულდა 2019 წლის დასაწყისში. სკოპინგის კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინვენტარიზაცია მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე საჯარო მფლობელობაში არსებულ 4 000-ზე მეტ შენობას. აქედან მოხდება 200 შენობის შერჩევა, რომელთა რეაბილიტაციაც მოხდება პროექტის შესაბამისად.

ამ პროექტის ფარგლებში, შენობების განახლება მოიცავს ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის დანერგვის სხვადასხვა ღონისძიებებს და, ასევე, მოიცავს მცირე მასშტაბის დამხმარე სამუშაოებს შენობების სტრუქტურული მთლიანობის გაუმჯობესებისთვის, რათა გაიზარდოს მათი ექსპლუატაციის ხანგრძლივობა. მოსალოდნელია, რომ საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის ინვესტიცია ასევე მოიცავდეს შენობის სამშენებლო სივრცის გაუმჯობესებას და უფრო ეფექტური გათბობის, ვენტილაციის, განათების და ჰაერის კონდიცირების სისტემების დამონტაჟებას. ეს ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- გარე კედლების თბოიზოლაცია;
- სახურავების თბოიზოლაცია;
- ფანჯრების გამოცვლა;
- მაღალ-ეფექტური  განათების მონტაჟი; და
- შენობის გათბობისა და ვენტილაციის განახლება, მათ შორის არაეფექტური ან/და ნახშირზე მომუშავე საქვაბეების, გაგრილების, ვენტილაციის და ჰაერის კონდიცირების შეცვლა.

შესაძლებელია ასევე კონსტრუქციული გამაგება და შენობის ზოგადი გაუმჯობესება - - შეზღუდულ შემთხვევებში, არსებული საჯარო შენობების ამჟამინდელი სავალალო მდგომარეობის გამო, და შენობის მთლიანობის, გამძლეობის და ენერგო-ეფექტურობაში განხორციელებული ინვესტიციების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

შემოთავაზებული რეაბილიტაცია ძირითადად ორიენტირებული იქნება არსებულ სკოლებზე, რომლებსაც ამჟამად ფლობს საქართველოს განათლების და მეცნიერების, სამინისტრო. თუმცა, (პროექტი) შეიძლება მოიცავდეს სხვა საჯარო შენობებსაც, რომლებსაც სხვა სამინისტროები ფლობენ (მაგ: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო). მუნიციპალური განვითარების ფონდი შექმნის საპროექტო ჯგუფს, რომელიც განახორციელებს პროექტის ყოველდღიური საქმიანობის ყველა ასპექტის მართვას.

# 3. კონსულტაციები და ინფორმაციის საჯარო განხილვა

## 3.1. ეროვნული საკანონმდებლო მოთხოვნები

საქართველოს კონსტიტუცია მიღებულია 1995 წელს. კონსტიტუცია პირდაპირ არ ეხება გარემოსდაცვით საკითხებს, თუმცა ადგენს საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და საზოგადოების ხელმისაწვდომობას გარემოსდაცვით პირობებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე.

37-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. თითოეული პირი ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.“ 37-ე მუხლის მე-5 პუნქტში კი აღნიშნულია, რომ: „თითოეულ ინდივიდს აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს შესახებ“. მუხლი 41, პუნქტი 1: „საქართველოსმოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიული ან კომერციული მნიშვნელობის კონფიდენციალურ ინფორმაციას, მოქმედი სამართლებრივი წესების თანახმად.“

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა უნდა შეესაბამებოდეს ორჰუსის კონვენციას ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და გარემოს დაცვის საკითხებში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჰუსის კონვენცია). ორჰუსის კონვენციის დამტკიცება საქართველოში მოხდა 2000 წელს და აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებულია:

- მოქალაქეების უფლება, რომ მიიღონ საჯარო უწყებებში არსებული ინფორმაცია გარემოს დაცვის საკითხებზე;
- მოქალაქის უფლება, რომ მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- პროცედურების განხილვის და ისეთი საჯარო გადაწვეტილებების ცვლილების უფლება, რომელთა მიღება განხორციელდა ზემოთ წარმოდგენილი პირველი ორი პუნქტის გათვალისწინების გარეშე.

**პროექტის მოთხოვნები**

საქართველოს კანონმდებლობით, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან დაკავშირებული კონკრეტული მოთხოვნები საქართველოში არსებობს მხოლოდ იმ პროექტებისთვის, რომლებიც საჭიროებენ გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასებას (გზშ) და გარემოსდაცვითი ნებართვის განაცხადს. აღნიშული პროექტი არ საჭიროებს გზშ-ს, ან გარემოსდაცვით ნებართვას.

ეროვნული კანონმდებლობით, ამ პროექტისთვის საჭირო დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა ნაკარნახევია **მშენებლობის ნებართვის** საჭიროებებიდან გამომდინარე. საქართველოს მთავრობის 57-ე დადგენილება არეგულირებს მშენებლობის ნებართვის

პროცედურას და მის წესებს და პირობებს. მიწის მფლობელმა საინფორმაციო ბანერი უნდა განათავსოს ობიექტის შესასვლელში, რომელზეც დატანილი იქნება პროექტის აღწერა, ასევე, მითითებული იქნება მფლობელი და კონტრაქტორი, რომელიც ადგილზე ახორციელებს სამუშაოებს. ბანერზე ასევე მოცემული უნდა იყოს პასუხისმგებელი პირების საკონტაქტო ინფორმაცია და ცხელი ხაზის ნომერი საჩივრების დასაფიქსირებლად.

## 3.2. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მოთხოვნები

პროექტი დაიცავს ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (EBRD) 2014 წ. გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის (ESP) და EBRD-ის შესრულების მოთხოვნებს (PR). EBRD-ის მე-7 (მკვიდრი მოსახლეობა) და მე-9 (ფინანსური შუამავლები) შესრულების მოთხოვნები წარმოდგენილ პროექტზე არ ვრცელდება.

ძირითადი შესრულების მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციასა და ინფორმაციის საჯარო განხილვას არის PR10. აღნიშნული შესრულების (PR10) ძირითადი მოთხოვნებია:

**ცხრილი 1: ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (EBRD) PR10-ის მოთხოვნები**

- იმ ინდივიდებისა და ჯგუფების იდენტიფიცირება, რომლებიც 1) ხვდებიან პროექტის ზემოქმედების ქვეშ ან მოსალოდნელია, რომ მოხვდებიან; ან შეიძლება ჰქონდეთ ინტერესი პროექტის მიმართ.
- იმ ინდივიდების და ჯგუფების იდენტიფიცირება, რომლებიც სხვადასხვა მოცულობით და ხარისხით შეიძლება მოხვდნენ პროექტის ზემოქმედების ქვეშ, რადგან ისინი წარმოადგენენ მოწყვლად ან დაუცველ ჯგუფებს. პროექტის მხრიდან შესაძლოა საჭირო გახდეს ჩართულობის სხვადასხვა მეთოდის გამოყენება ასაკთან, სქესთან და ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებული სირთულეების გამო.
- პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარეებისთვის; ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი და კულტურულად მისაღები.
- შინაარსიანი კონსულტაციების ჩატარება ზემოქმედების ქვეშ მყოფ მხარეებთან; უზრუნველყოფა იმისა, რომ კონსულტაციების დროს მხარეებს მიეცეთ აზრის გამოხატვის საშუალება, კონსულტაციები ჩატარდეს კულტურულად მისაღები ფორმით და ადგილობრივ ენაზე.
- ეფექტური საჩივრების მექანიზმის, პროცესის ან პროცედურის დანერგვა, დაინტერესებული მხარეების პრობლემებისა და საჩივრების მისაღებად და მათი მოგვარების გასაადვილებლად.

## 3.3. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების არსებული პროგრამები

ვინაიდან პროექტის მიმდინარეობა ადრეულ ეტაპზეა, მუნიციპალური განვითარების ფონდს ჯერჯერობით არ გაუმართავს საჯარო კონსულტაციები და საზოგადოების ჩართულობის სხვა აქტივობები. შეიკრიბება პროექტის ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს და განახორციელებს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას.

მუნიციპალური განვითარების ფონდის საკონტაქტო ინფორმაცია ამჟამად წარმოდგენილია მათ ვებ-გვერდზე[3]. მუნიციპალური განვითარების ფონდი აგრეთვე მართავს სოციალური ქსელის (მაგ. Facebook-) რამდენიმე აქტიურ ანგარიშს.

მუნიციპალური განვითარების ფონდმა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული უკვე დასრულებული პროექტებისათვის, ჩაატარა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის არაერთი აქტივობა. მაგალითად, 2019 წლის აპრილში მათ გამართეს საჯარო მოსმენა აბასთუმნის ცენტრალური ნაწილის ურბანული რეგენერაციის პროექტის საწყისი კონცეფციის შესახებ, რომელიც მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალური განვითარების ფონდის,ადგილობრივი ხელისუფლების და ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლები. მათ ასევე ჩაატარეს განხილვები და ინტერვიუები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების ფოკუს ჯგუფებთან, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმებისა და სხვა დიდი მასშტაბის პროექტებისთვის შემუშავებული განსახლების სამოქმედო გეგმების ფარგლებში.

აღნიშნული გეგმა შემუშავდა იმისთვის, რომ პროექტის მსვლელობისას მუნიციპალური განვითარების ფონდმა უზრუნველყოს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა.

[3] http://mdf.org.ge/?site-lang=en&site-path=contacts/

# 4. დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება

დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირების მიზანია მათი გამოვლენა და შემდგომი კონსულტაციებისათვის პრიორიტეტების განსაზღვრა. დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაცია მიმდინარე პროცესია და გრძელდება პროექტის მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე. პროექტის ზემოქმედების არეალზე დაყრდნობით, სისტემური მიდგომა გამოიყენება დაინტერესებული მხარეების მდებარეობის მიხედვით განსაზღვრისთვის. ამ მიდგომით, სოციალური ზემოქმედების ადგილმდებარეობების განსაზღვრისას, ვლინდება ამ ზონის შესაბამისი დაინტერესებული მხარეები.

დაინტერესებულ მხარეთა ანალიზის შედეგად ვლინდება მათი ორი ძირითადი კატეგორია:

a) ძირითადი დაინტერესებული მხარეები - პირები ან ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც უშუალოდ პროექტის ზემოქმედების ქვეშ არიან და

b) მეორადი დაინტერესებული მხარეები - მხარეები, რომლებზეც პროექტმა იქონია გავლენა, თუმცა არა პირდაპირი ზემოქმედება.

იდენტიფიცირებული ძირითადი მხარეები იხილეთ მე-2 ცხრილში.

**ცხრილი 2: ძირითადი იდენტიფიცირებული მხარეები და მათი ჩართულობის მეთოდები**

| დაინტერესე-ბული მხარის კატეგორია | ტიპი | სახელი | ზემოქმედება/ზეგავლენა |
|---|---|---|---|
| ძირითადი | პროექტის დაინტერესებული მხარეები / შიდა დაინტერესებული მხარეები | მუნიციპალური განვითარების ფონდი | აღნიშნული ჯგუფი პირდაპირ ზეგავლენას ახდენს პროექტზე გადაწყვეტილებების მიღების გზით და პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებლობის გამო |
| | ნაგებობის მფლობელები / მმართველები | თბილისის მერია; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი განათლების დაწესებულებათა გაერთიანება; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; ქუთაისისა | ისარგებლებს ენერგოეფექტურობის-თვის დანერგილი ღონისძიებებით და დანიშნავს წარმომადგენლებს, მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ნაგებობის მოსარგებლეთა შორის სათანადო |

| დაინტერესე-ბული მხარის კატეგორია | ტიპი | სახელი | ზემოქმედება/ზეგავლენა |
|---|---|---|---|
| | | და სხვა მუნიციპალიტეტები, რომლებიც ფლობენ / მართავენ შერჩეულ საჯარო შენობებს. | ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით. |
| | საზოგადოებები და ბიზნესები - არსებობის შემთხვევაში | ადგილობრივი საწარმოები და საჯარო შენობებით მოსარგებლეები (მათ შორის მოწყვლადი ჯგუფები, როგორებიც არიან: ქალები, პენსიონერები, ვეტერანები და სხვა ოფიციალური, თუ არაოფიციალური პირები და ბიზნესები), რომლებიც განთავსებულები არიან საქართველოს ფარგლებში ენერგო-ეფექტურობის სამუშაოებით გამოწვეული პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ შენობებში. | შენობით მოსარგებლე საზოგადოებები და ბიზნესები შესაძლოა მოექცნენ ზემოქმედების ქვეშ, კონკრეტულ შესასვლელებთან/ გასასვლელებთან წვდომის დროებითი შეფერხების  გამო. |
| | მოწყვლადი ჯგუფები  - მსგავსი ჯგუფების არსებობის შემთხვევაში | საავადმყოფოებისა და სამედიცინო ცენტრების პაციენტები, სტუდენტები / მოსწავლეები (მათ შორის სწავლის სირთულეებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები) | აღნიშნული ჯგუფები შესაძლოა საჯარო შენობების მომხმარებლებზე და თემებზე  მეტად მოექცნენ პროექტის ზემოქმედების ქვეშ. |
| | შენობის წარმომადგენლები | თითოეული შენობის შერჩეული წარმომადგენლები, რომლებსაც დაასახელებს თითოეული შენობის მმართველი სამინისტრო / მუნიციპალიტეტი | ინფორმაციის მიწოდება შენობით მოსარგებლეთათვის და მათი გადაწყვეტილებების გაზიარება შესაბამისი მუნიციპალიტეტის-თვის. |
| მეორადი | არასამთავრობო ორგანიზაციები | არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ შეხვედრაში | არ მოახდენს პირდაპირ ზემოქმედებას მოცემული პროექტის |

| დაინტერესე-ბული მხარის კატეგორია | ტიპი | სახელი | ზემოქმედება/ზეგავლენა |
|---|---|---|---|
| | | მონაწილეობის მიღება - სურვილის შემთხვევაში, | მასშტაბებსა და მშენებლობაზე. |
| | კონტრაქტორები | საქართველოში საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის პროექტის კონტრაქტორები. | აღნიშნული ჯგუფები უშუალო მონაწილეობას იღებენ პროექტის განხორციელებაში. |
| | მშენებლობაზე დასაქმებულები | საქართველოში მცხოვრები ადგილობრივი პირები. | კონტრაქტორების მიერ პროექტის სამშენებლო სამუშაოებისთვის დაქირავებული პირები. |
| | ინჟინერ-კონსტრუქტორი / ენერგოეფექტუ-რობის სპეციალისტი | პროექტირების და ენერგოეფექტურობის სპეციალისტი | წარმოადგენს 200 საჯარო შენობის ტექნიკური პროექტისა და ენერგოეფექტურობის შესახებ არსებულ დეტალურ ინფორმაციას. |
| | ზედამხედველი კომპანია/კომპანიები | სამუშაოების ზედამხედველი კონსულტანტ-ინჟინერი | აწარმოებს მგფ-ის და კონტრაქტორების მიერ მომზადებული გარემოსდაცვითი მართვის გეგმების განხორციელების მონიტორინგს და გასცემს შესაბამის მითითებებს. |
| | | | |
| | ნებართვების გამცემი ორგანოები, ადგილობრივი ხელისუფლება | ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები | აღნიშნული ჯგუფი გავლენას/ზემოქმედებას მოახდენს პროექტზე - ახალი რეგულაციებისა და წესების განმსაზღვრელი სამშენებლო ნებართვის დამტკიცების შედეგად. |

| დაინტერესე-ბული მხარის კატეგორია | ტიპი | სახელი | ზემოქმედება/ზეგავლენა |
|---|---|---|---|
| სესხის გამცემი | სესხის გამცემი ორგანიზაცია | ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) | აღნიშნული ორგანიზაცია უზრუნველყოფს სესხს პროექტის განსახორციელებლად, კონკრეტული გარემოსდაცვითი, სოციალური და ტექნიკური მოთხოვნების დაცვით. |

## 4.1. მოწყვლადი ჯგუფები

დაინტერესებულ მხარეთა გამოვლენის პროცესი მიმართულია ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების ისეთი ჯგუფების იდენტიფიცირებაზე, რომლებიც შესაძლოა იყვნენ მეტად მოწყვლადები აღნიშნული პროექტის არსებული და შესაძლო ზემოქმედების მიმართ.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის წინამდებარე გეგმის შეფასებისა და მომზადების პროცესში შეფასდა ისიც, არსებობენ თუ არა ადამიანთა ჯგუფები, რომლებზეც განსხვავებულ ზემოქმედებას მოახდენს პროექტის განხორციელება - სქესის, ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, შეზღუდული ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობების, ან სხვა მიზეზების გამო.

შეფასების პროცესმა გამოავლინა შემდეგი პოტენციურად მოწყვლადი ჯგუფები:

- სკოლის მოსწავლეები;
- ნაკლები განათლების, ან ონლაინ ინფორმაციაზე წვდომის ნაკლები შესაძლებლობის მქონე სკოლის მოსწავლეების ოჯახები;
- სამედიცინო ცენტრების პაციენტები;
- შერჩეული საჯარო შენობებით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; და
- ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სააგენტოების ბენეფიციარები (თუშერჩეულია შენობები).

ჩამოთვლილ მოწყვლად ჯგუფებზე პროექტის შესაძლო ზემოქმედებისგან დაცვის მიზნით, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს ჩართულობის დამატებით აქტივობებს. პროექტის მიმდინარეობისას, ზედამხედველმა კომპანიამ/კომპანიებმა, ან კონტრაქტორებმა შესაძლოა გამოავლინონ დამატებითი მოწყვლადი ჯგუფები, რომლებიც დაემატებიან აღნიშნულ გეგმას და შემუშავდება მათთან

კომუნიკაციის შესაბამისი მეთოდები. სკოლის წარმომადგენლებთან შეხვედრების დროს უნდა მოხდეს კატეგორიების გამოვლენა და მოწყვლადი ჯგუფის, ან პიროვნების იდენტიფიცირების შემთხვევაში, უნდა დაიგეგმოს მათთან შეხვედრა - სკოლის წარმომადგენლების ორგანიზებით.

# 5. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროგრამა

## 5.1. ინფორმაციის გასაჯაროება

პროექტისთვის მომზადებულ დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროგრამაში (წარმოდგენილი ცხრილ 3-ში) შეჯამებულია ყველა ტიპის ინფორმაცია, რომელიც საჭიროებს საჯარო განხილვას და ამ ინფორმაციის გავრცელების საშუალებებს. გარე კომუნიკაციის მიზნები მოიცავს ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანების და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მუდმივ ჩართულობას და მათ ინფორმირებას პროექტის მიმდინარე საქმიანობების, შესრულების, პროექტის განვითარების და განხორციელების შესახებ. ინფორმაციის საჯარო განხილვის მართვა მოხდება ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (EBRD) საჯარო ინფორმაციის შესახებ პოლიტიკის, EBRD PR 10-ის და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა, საჭიროებისამებრ, სულ მცირე ყოველწლიურად (ან ცვლილებების შემთხვევაში) გადაიხედება და განახლდება, რათა ასახული იქნას ის ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია პროექტის განვითარებით და ახალი დაინტერესებული მხარეების დამატებით. საჯაროდ განსახილველი ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს, თუ შეიცვლება ტექნიკური პროექტი, განრიგი ან ზემოქმედების არეალი. გარე და შიდა კომუნიკაციის მეთოდები და საჯაროდ განსახილველი ინფორმაცია, რომელიც აღწერილია ცხრილში 3 არ არის ექსკლუზიური და მუნიციპალური განვითარების ფონდმა შეიძლება გადაწყვიტოს მეტი ინფორმაციის გასაჯაროება, თუ ამას მოითხოვს დაინტერესებული მხარე.

მუნიციპალური განვითარების ფონდი პასუხისმგებელია არსებულ და მომავალ პროექტებთან დაკავშირებულ შიდა და გარე კომუნიკაციაზე და იქნება მთავარი საკონტაქტო უწყება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისთვის. პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იქნება ინგლისურ და/ამ ქართულ ენებზე.

## 5.2. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროგრამა

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროგრამა მოიცავს საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარებას შესაბამის დაინტერსებულ მხარეებთან, როგორც პროექტის დაწყებამდე, ასევე პროექტის განხორციელების დროს, საჭიროებისამებრ. კონსულტაციების და მხარეების ჩართულობა საჭიროა დაინტერესებული მხარეების შემოთავაზებების, იდეების და შენიშვნების განსახილველად. იმისთვის რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი სრული ჩართულობა და პროექტის შესახებ შენიშვნების და იდეების შესახებ დეტალური ინფორმაციის გაცვლა პროექტის სასიცოცხლო ციკლის მანძილზე, გამოყენებული იქნება კომუნიკაციის რამდენიმე ფორმა (ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა და ვებგვერდი). უკეთესი კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით, განისაზღვრება პირისპირ და ონლაინ შეხვედრების ფორმატი, COVID-19-თან დაკავშირებით შექმნილი პანდემიის გამო.

ძირითადი საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართება დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებისთვის. სამუშაოების დაწყებამდე აღნიშნულ შეხვედრებს ჩაატარებს მგფ-ის/პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIU) კონსულტანტი, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურს ცენტრების მხარდაჭერით. შენობის მფლობელებს/მმართველებს, წარმომადგენლებს, მოწყვლად პირებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს ექნებათ შეხვედრაზე დასწრების შესაძლებლობა - სურვილის შემთხვევაში. შეხვედრების დროს მოხდება პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების და საქმიანობის განხილვა, დაინტერესებული მხარეები კი მიიღებენ ინფორმაციას გარემოს დაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ ისეთ დოკუმენტებზე, როგორიცაა: გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის ნიმუშები, რასაც გამოიყენებენ კონტრაქტორები. მონაწილეებს ეცნობებათ მგფ-ში შექმნილი საჩივრების მოგვარების მექანიზმის მნიშვნელობისა და შესაბამისი პროცედურების შესახებ. შეხვედრის მონაწილეები მიიღებენ ინფორმაციას საკონტაქტო პირების შესახებ, გარემოს დაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით კომუნიკაციისა და საჩივრების წარმოდგენის მიზნით და/ან ინფორმაციის მიღების არხებთან დაკავშირებული შენიშვნებისა და შემოთავაზებების წარმოსადგენად. შეხვედრებზე შედგება ოქმები. საკონსულტაციო პროცესი გაგრძელდება; დამატებითი შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან - პროექტის განხორციელების პროცესში გაიმართება საჭიროების მიხედვით. მგფ/პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი (PIU) აქტიურად იქნება ჩართული მოსახლეობის ინფორმირების, პრობლემების გადაწყვეტის, თუ საჩივრების მოგვარების მექანიზმის გამოყენებით მოსახლეობის დახმარების პროცესში. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს პროექტის შეუფერხებელი განხორციელების და საჩივრების დროულად დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

პროექტის განხორციელებამდე, ან პროექტის განხორციელების დროს მიღებული ყველა შენიშვნა, ან საჩივარი შეგროვდება და დარეგისტრირდება მუნიციპალური განვითარების ფონდის და კონტრაქტორების მიერ, რომლებიც ინფორმაციას საჩივრების პროცედურების თაობაზე მიიღებენ შერჩევის პროცესში. ინფორმაცია საჩივრების მექანიზმისა და საჩივრების მოგვარების შესახებ წარმოდგენილია პარაგრაფებში: 6.2 და 6.3.

საჩივრის ესკალაციის შემთხვევაში კონტრაქტორები დაეხმარებიან ზედამხედველ კომპანიას/კომპანიებს და შემდეგ მუნიციპალური განვითარების ფონდს, ან პირდაპირ მუნიციპალური განვითარების ფონდს. ზედამხედველი კომპანია/კომპანიები პასუხისმგებელია/პასუხისმგებლები არიან კონტრაქტორ(ებ)ისგან საჩივრის შესახებ ინფორმაციის მიღებასა და ამ ინფორმაციის მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის გადაცემაზე. დაინტერესებულ მხარეებს აქვთ შესაძლებლობა საჩივრის შეტანისა და ინფორმაციის მიღებისთვის გამოიყენონ მათთვის ყველაზე მოსახერხებელი საშუალება.

ყველა მიღებული შენიშვნის განხილვა მოხდება მე-3 თავში აღწერილი "ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (EBRD) მოთხოვნების" საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისად. შენიშვნის წარმდგენის მოთხოვნის და ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით ყველა შენიშვნა შეფასდება ცვლილების განხორციელებადობის თვალსაზრისით და შედეგი ეცნობება შენიშვნის ავტორს.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროგრამა წარმოდგენილია ცხრილში 3:

ცხრილი 3: დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სამომავლო პროგრამა

| დაინტერესებული მხარეები | კომუნიკაციის მეთოდი | საჯაროდ განსახილველი ინფორმაცია | ვადა |
|---|---|---|---|
| ▪ **მუნიციპალური განვითარების ფონდი** | ▪ მუნიციპალური განვითარების ფონდის შიდა შეხვედრები პროექტში ჩართულ ფონდის ყველა სპეციალისტთან, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIU) კონსულტანტის ჩათვლით; საჭიროების შემთხვევაში ჩაერთვებიან პროექტის ინჟინერ-კონსტრუქტორი და კონტრაქტორები.<br>▪ სულ მცირე 1 გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გარემოს დაცვით და სოციალურ (E&S) საკითხებზე პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIU) კონსულტანტთან, გარემოს დაცვის და სოციალური (E&S) მოთხოვნების განსაზღვრისთვის. შემდეგ პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIU) კონსულტანტი შეიმუშავებს მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის გარემოს დაცვის და სოციალური (E&S) საკითხებზე ანგარიშების წარდგენის განრიგს<br>▪ სულ მცირე 2 შეხვედრა უნდა ჩატარდეს პროექტის ინჟინერ- | ▪ განახლებული ინფორმაცია გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP), დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის (SEP) და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) გახორციელების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში. | ▪ შეხვედრები შედგება მშენებლობის დაწყებამდე კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, და მშენებლობის დროს |

| დაინტერესებული მხარეები | კომუნიკაციის მეთოდი | საჯაროდ განსახილველი ინფორმაცია | ვადა |
|---|---|---|---|
| | კონსტრუქტორთან (დიზაინერთან) გარემოს დაცვის და სოციალური (E&S) მოთხოვნების განმარტებისთვის (მაგ.: მისასვლელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) და შემდგომ პროექტების გადახედვა<br>▪ სულ მცირე 1 შეხვედრა თითოეულ კონტრაქტორთან გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) მოთხოვნების გასაცნობად | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ▪ **შერჩეული შენობების წარმომადგენლები (წარმოადგენენ სამინისტროს/ მუნიციპალიტეტს, რომლებიც ფლობენ/მართავენ შენობას)** | ▪ პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIU) კონსულტანტის /პროექტის დიზაინერის/ ზედამხედველი კომპანიის მიერ ორგანიზებული შეხვედრები შენობის მფლობელებთან/ მმართველებთან  და წარმომადგენლებთან, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს/განათლების რესურს ცენტრების მხარდაჭერით. | ▪ ენერგოეფექტურობის ახალი ღონისძიებების ამსახველი ფოტოები და ენერგიის დაზოგვის შესახებ სტატისტიკური მონაცემები.<br>▪ სამუშაოების გრაფიკი კონკრეტული შენობისთვის.<br>▪ მისასვლელის დროებითი შეზღუდვა და კონტრაქტორის მიერ გატარებული ღონისძიებები,  შეწუხების შესამცირებლად.<br>▪ კონკრეტული ღონისძიებები, სკოლის მოსწავლეების და საავადმყოფოს პაციენტების უარყოფითი ზემოქმედებისგან დაცვის უზრუნველსაყოფად.<br>▪ საჩივრების განხილვის მექანიზმი | ▪ მშენებლობის დაწყებამდე ჯგუფური შეხვედრები (რაოდენობა განისაზღვრება საჭიროებისამებრ, თუმცა სულ მცირე 1 შეხვედრა აუცილებლად) ყველა წარმომადგენელსა და შენობის მფლობელებს მმართველებს შორის.<br>▪ სულ მცირე 10 შეხვედრა მუნიციპალური განვითარების ფონდის/ პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIU) კონსულტანტთან - მშენებლობის დაწყებამდე.<br>▪ სამშენებლო სამუშაოების დაწყების შესახებ შეტყობინების გაგზავნა შერჩეული შენობების წარმომადგენლებთან , სამუშაოების დაწყებამდე სულ |

| | | |
|---|---|---|
| | | მცირე ერთი თვით ადრე.<br>▪ მშენებლობის დროს კონტრაქტორსა და შენობის წარმომადგენლებს შორის გამართული შეხვედრების გამართვა -საჭიროებისამებრ .<br>▪ შეხვედრები  შენობის მფლობელებთან/ მმართველებთან და წარმომადგენლებთან მშენებლობის დროს, საჭიროებისამებრ. ყველა წარმომადგენელს ეცნობება საჩივრების განხილვის მექანიზმზე პასუხისმგებელი პირის და ობიექტის (საველე) მენეჯერის საკონტაქტო დეტალები და შეეძლება მუნიციპალური განვითარების ფონდის სათაო ოფისში მისვლა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| ▪ **ზემოქმედების ქვეშ მყოფი შენობების მოსარგებლეები** | ▪ პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIU) კონსულტანტის /პროექტის დიზაინერის/ ზედამხედველი კომპანიის მიერ ორგანიზებული შეხვედრები შენობის წარმომადგენლებთან, პროექტის შესახებ ინფორმაციის განსახილველად. | ▪ ენერგოეფექტურობის ახალი ღონისძიებების ამსახველი ფოტოები და ენერგიის დაზოგვის შესახებ სტატისტიკური მონაცემები.<br>▪ სამუშაოების გრაფიკი კონკრეტული შენობისთვის.<br>▪ მისასვლელის დროებითი შეზღუდვა და კონტრაქტორის მიერ გატარებული ღონისძიებები, შეწუხების შესამცირებლად, შემაწუხებელი ფაქტორის არსებობის შემთხვევაში.<br>▪ კონტროლის კონკრეტული ღონისძიებები, სკოლის მოსწავლეების და საავადმყოფოს პაციენტების უარყოფითი ზემოქმედებისგან დაცვის უზრუნველსაყოფად.<br>▪ საჩივრების განხილვის მექანიზმი | ▪ მშენებლობის დაწყებამდე წარმომადგენლების 1 ღია შეხვედრა ყველა შენობის მოსარგებლესთან.<br>▪ შეხვედრა შენობის წარმომადგენლებთან მშენებლობის დროს - საჭიროებისამებრ. |
| ▪ **მოწყვლადი ჯგუფები** | ▪ შენობების წარმომადგენლების მიერ შეხვედრის ორგანიზება იდენტიფიცირებულ მოწყვლად ჯგუფებთან აუცილებლობის/საჭიროების | ▪ ენერგოეფექტურობის ახალი ღონისძიებების ამსახველი ფოტოები და ენერგიის დაზოგვის | ▪ ქალების - მხოლოდ ფოკუს ჯგუფების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ფოკუს |

| | | | |
|---|---|---|---|
| | შემთხვევაში (პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIU) კონსულტანტი). | შესახებ სტატისტიკური მონაცემები.<br>▪ სამუშაოების გრაფიკი კონკრეტული შენობისთვის.<br>▪ მისასვლელის დროებითი შეზღუდვა და კონტრაქტორის მიერ გატარებული ღონისძიებები შეწუხების შესამცირებლად, შემაწუხებელი ფაქტორის არსებობის შემთხვევაში.<br>▪ ტექნიკური პროექტები და კორექტირებული ტექნიკური პროექტები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის სათანადო მისასვლელის უზრუნველსაყოფად. გაუმჯობესებული უსაფრთხოების ზომები ქალებისა და გოგონებისთვის.<br>▪ საჩივრების განხილვის მექანიზმი. | ჯგუფების რაოდენობა დამოკიდებული იქნება შერჩეული საჯარო შენობების ადგილმდებარეობაზე.<br>▪ შეხვედრები მხოლოდ ქალებისგან შემდგარ - მხოლოდ ფოკუს ჯგუფებთან შედგება მაშინ როცა სამუშაოები მიმდინარეობს გენდერული თვალსაზრისით სენსიტიურ ადგილებში (მაგ.: სამშობიარო ბლოკი), ან ადგილებში სადაც ტრადიციები უზღუდავს ქალებს აზრის საჯაროდ გამოხატვის უფლებას.<br>▪ ყველა საჯარო შენობას ეყოლება ზემოქმედების ქვეშ მყოფ ქალთა (თუ საჭიროა) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა წარმომადგენელი, |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | რომლებიც ასევე წარმოადგენენ იმავე ტერიტორიის სკოლებს. |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| **არასამთავრობო ორგანიზაცია - საქართველოს ხელოვნების და კულტურის ცენტრი** | შეხვედრები თბილისში არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთან მშენებლობის დაწყებამდე, მშენებლობის და ოპერირების დროს. პროექტის დიზაინერი/პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIU) კონსულტანტი/ზედამხედველი კომპანია/კომპანიები მოახდენენ არასამთავრობო ორგანიზაციასთან შეხვედრის ორგანიზებას. | კონტრაქტორის შესახებ მონაცემები, მათ შორის ნებართვა აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები დაცულ შენობებში და ისტორიულ შენობებში მუშაობის წინარე გამოცდილება.<br>კონტრაქტორი და მუნიციპალური განვითარების ფონდი უზრუნველყოფს ნუსხაში წარმოდგენილი შენობების დაცვას (და შემდგომ სამუშაოების სწორად განხორციელების დადასტურებას ფოტომასალით).<br>ფოტოები, რომლებზეც ასახულია ენერგოეფექტურობის ახალი ღონისძიებების მაგალითები და ენერგიის | სულ მცირე 1 შეხვედრა მშენებლობის დაწყებამდე.<br>არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების სულ მცირე ერთი ვიზიტი შერჩეულ სამშენებლო ობიექტებზე.<br>სულ მცირე 1 შეხვედრა მშენებლობის დასრულების შემდეგ. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | დაზოგვის შესახებ სტატისტიკური მონაცემები. | |
| ▪ **კონტრაქტორები** | ▪ საჭიროებისამებრ გამართული პერიოდული შეხვედრები, რომლებსაც დაესწრებიან მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები.<br>▪ შეხვედრები ზედამხედველ კომპანიასთან/კომპანიებთან მშენებლობის პროცესში გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) ღონისძიებების და პროცესების ანგარიშგების და განხილვის მიზნით. | ▪ განახლებული ინფორმაცია გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP), დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის (SEP) და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) გახორციელების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში.<br>▪ გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) საკითხების და მონაცემების გაზიარება ზედამხედველ კომპანიასთან/კომპანიებთან და გამოვლენილი პრობლემური საკითხების გადაწყვეტა. | ▪ მუნიციპალური განვითარების ფონდის შეხვედრები გაიმართება მშენებლობის დაწყებამდე, კონტრაქტის გაფორმების შემდეგ - მშენებლობის დროს.<br>▪ კონტრაქტორის გარემოს დაცვის და სოციალური (E&S) ხელმძღვანელის და ზედამხედველი კომპანიის/კომპანიების ყოველკვირეული შეხვედრები მშენებლობის დროს. |
| ▪ **სამშენებლო მუშახელი** | ▪ კონტრაქტორის გარემოს დაცვის და სოციალური (E&S) საკითხების მენეჯერები ჩაუტარებენ ინსტრუქტაჟს კონტრაქტორის მუშახელს გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) | ▪ გარემოს დაცვის და სოციალური (E&S) (კერძოდ, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების) განსახორციელებელი ღონისძიებები და პროცესი. | ▪ მშენებლობის დაწყებამდე. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ღონისძიებების შესახებ - სამუშაო ადგილზე. | | |
| ▪ **ზედამხედველი კომპანია/კომპანიები** | ▪ შეხვედრები, რომლებსაც დაესწრებიან მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები.<br>▪ შეხვედრები კონტრაქტორთან მშენებლობის დროს გარემოს დაცვის და სოციალური (E&S) ღონისძიებების და პროცესების განხილვის მიზნით. | ▪ განახლებული ინფორმაცია გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP), დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის (SEP) და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) გახორციელების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში.<br>▪ გარემოს დაცვის და სოციალური (E&S) საკითხების და მონაცემების გაზიარება ზედამხედველ კომპანიასთან/კომპანიებთან და გამოვლენილი პრობლემური საკითხების გადაწყვეტა. | ▪ მუნიციპალური განვითარების ფონდის შეხვედრები გაიმართება მშენებლობის დაწყებამდე, კონტრაქტის გაფორმების შემდეგ - მშენებლობის დროს.<br>▪ კონტრაქტორის გარემოს დაცვის და სოციალური (E&S) საკითხების ხელმძღვანელის და ზედამხედველი ინჟინრის ყოველკვირეული შეხვედრები მშენებლობის დროს. |
| ▪ **დაქირავებული ინჟინერ-კონსტრუქტორი** | ▪ შეხვედრები მუნიციპალური განვითარების ფონდთან შენობების პროექტირების ეტაპზე.<br>▪ | ▪ მიმდინარე ტექნიკური პროექტების გაზიარება მუნიციპალური განვითარების ფონდთან და მათი აზრის მოსმენა.<br>▪ | ▪ შეხვედრები მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ინჟინერ-კონსტრუქტორს შორის - პროექტირების ეტაპზე.<br>▪ |

| | | | |
|---|---|---|---|
| **ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)** | ▪ ყოველწლიური და საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი განახლებული ინფორმაცია გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხების შესახებ.<br>▪ ყოველწლიური გარემოსდაცვითი და სოციალური ანგარიშები.<br>▪ წარდგენა მოხდება შეხვედრებზე და/ან პროექტის დირექტორის ელექტრონულ ფოსტაზე  გაგზავნით. | ▪ განახლებული ინფორმაცია გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP), დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის (SEP) და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) გახორციელების და გარემოს დაცვის და სოციალური ( E&S) თვალსაზრისით წარმოებული საქმიანობის შესახებ. | ▪ ყოველწლიური და საჭიროების შემთხვევაში გამართული შეხვედრები მშენებლობის დაწყებამდე, მშენებლობის დროს და პროექტის მიმდინარეობის პროცესში. |

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და შენიშვნების წარსადგენად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ შემდეგი საკონტაქტო მონაცემების გამოყენება:

**მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ)**
სახელი, გვარი: ნუცა გუმბერიძე
პოზიცია: ბენეფიციარებთან ურთიერთობის სპეციალისტი
მისამართი: მე-3 სართული, #150 დავით აღმაშენებლის გამზ., 0112, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 598 88 20 19
ელ. ფოსტა: feedback@mdf.org.ge

ზემოთ მოცემული ცხრილის შესაჯამებლად, ქვემოთ აღწერილია ამ დავალებისთვის გამოყენებული კომუნიკაციის ოთხი ძირითადი მეთოდი:

**მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გარემოსდაცვით და სოციალურ (E&S) საკითხებთან დაკავშირებული შეხვედრები**

აღნიშნულ შეხვედრებზე დრო დაეთმობა მუნიციპალური განვითარების ფონდის/პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIU) კონსულტანტის მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) ღონისძიებების ჩატარების ორგანიზებას და ზედამხედველ კომპანიას/კომპანიებს და კონტრაქტორებს მიეცემათ შესაძლებლობა წარმოადგინონ ინფორმაცია მშენებლობის დროს მათ მიერ განხორციელებული გარემოს დაცვითი და სოციალური (E&S) ღონისძიებების შესახებ. მუნიციპალური განვითარების ფონდს, კონტრაქტორებსა და ზედამხედველ კომპანიას შორის ურთიერთობის წესი განისაზღვრება მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობაში და ჩართული იქნება ინდივიდუალურ კონტრაქტებში. აღნიშნული მოიცავს რეგულარულ, ყოველდღიურ კომუნიკაციას სამ მხარეს შორის.

**შეხვედრები შენობების წარმომადგენლებთან**

ყველა შერჩეული საჯარო შენობის წარმომადგენლის ნუსხა მომზადებული უნდა იყოს მშენებლობის დაწყებამდე და ჩართული იქნას დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მოცემულ გეგმაში. აღნიშნული პირები წარმოადგენენ მთავარ დამაკავშირებელ რგოლს შენობების მოსარგებლეებს, შენობაში დასაქმებულებს და პროექტის ინჟინერ-კონსტრუქტორს (დიზაინერს)/პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIU) კონსულტანტს შორის. მათი დანიშვნა უნდა მოხდეს თითოეული შენობის მმართველი სამინისტროს/მუნიციპალიტეტის მიერ. ამ პოზიციისთვის შერჩეულ ყველა სპეციალისტს გაფორმებული უნდა ჰქონდეს შრომითი ხელშეკრულება შენობის მმართველ სამინისტროსთან/მუნიციპალიტეტთან და ყოველდღიურად მუშაობდეს შერჩეულ შენობაში.

შენობის წარმომადგენლები გააკეთებენ განმარტებებს პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების და საქმიანობის შესახებ. მშენებლობის დაწყებამდე და პერიოდულად მშენებლობის დროს, პროექტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების და მიმდინარე პრობლემების განხილვის მიზნით, შენობის წარმომადგენლები შეხვდებიან შენობის მფლობელებს/მმართველებს, პროექტის დიზაინერს/პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIU) კონსულტანტს და ცალკე - შენობით მოსარგებლეებს.

შეხვედრების დროს შედგება შეხვედრის ოქმები და დამსწრეთა ნუსხა. შერჩევის შემდეგ, კონტრაქტორის ობიექტის მთავარი ინჟინერი ასევე უნდა დაესწროს მშენებლობის დროს გამართულ შეხვედრებს.

შენობის მფლობელები/მმართველები, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით და მისი ზედამხედველობის ქვეშ, განიხილავენ სკოლების და საავადმყოფოებისთვის შესაფერის დროებით შენობებს, იმ შემთხვევაში თუ სამუშაოები მოიცავს მნიშვნელოვან კონსტრუქციულ გაუმჯობესებას და საჭიროებს ამ საჯარო შენობების დროებით ადგილმონაცვლეობას. შენობის მფლობელები/მმართველები, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIU) კონსულტანტის და პროექტის დიზაინერის/ზედამხედველი კომპანიის მხარდაჭერით, უზრუნველყოფენ დახმარებას როგორც დროებით შენობაში გადასვლის პროცესში, ასევე უკვე განახლებულ შენობაში დაბრუნების დროს.

აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში შენობის მოსარგებლეებს უნდა ეცნობოთ, რომ შენობასთან მისასვლელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის უნდა შენარჩუნდეს მშენებლობის დროს. გარდა ამისა, თუ რაიმე სხვა საკითხები იქნა წამოჭრილი მოწყვლადი ჯგუფების მიერ, ეს ინფორმაცია უნდა გადაეცეს მუნიციპალური განვითარების ფონდს, განხილვის და გადაწყვეტის მიზნით.

მუნიციპალური განვითარების ფონდი შენობის წარმომადგენლებთან ერთად განსაკუთრებულად განიხილავს ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განახორციელოს კონტრაქტორმა, რათა დაიცვას შერჩეული საავადმყოფოების, სკოლების და საბავშვო ბაღების მოსწავლეები და პაციენტები. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს:

- სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვას არა სასკოლო პერიოდში (მაგ.: არდადეგების დროს);
- კონტრაქტორის მუშახელის წინასწარ შემოწმებას ნასამართლობაზე - სტრატეგიულ ან სენსიტიურ შენობებში;
- საავადმყოფოებში სამშენებლო სამუშაოების ჩატარებას ეტაპობრივად (მაგ.: თითოეულ სართულზე ცალ-ცალკე), პაციენტების პირადი სივრცის დაცვის და ხმაურით შეწუხების თავიდან აცილების მიზნით;
- ცალკე შესასვლელების მოწყობას მუშახელისთვის, რათა მოხდეს სამშენებლო სამუშაოების პაციენტების და სტუდენტებისგან განცალკევება;
- უსაფრთხოების შესაბამისი ზომების გატარება მოსწავლეებისთვის; უსაფრთხო მისასვლელის უზრუნველყოფა სკოლებში, საავადმყოფოებსა და ბაღებში.

**მხოლოდ ქალების (სადაც საჭიროა) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ფოკუს ჯგუფები**

აღნიშნული ფოკუს ჯგუფების მიზანია უზრუნველყოს ქალების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოთხოვნების და მოსაზრებების გაგება და გათვალისწინება პროექტის პროექტირების, განვითარების და განხორციელების ეტაპებზე. მცირე ზომის ეს ფოკუს ჯგუფები, შესაძლებლობა მისცემს პროექტის ზემოქმედების ქვეშ

მყოფ ქალებს და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები უსაფრთხო გარემოში.

შეხვედრები ფოკუს ჯგუფებთან - საჭიროების შესაბამისად, ჩატარდება შენობის წარმომადგენლების/პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIU) კონსულტანტის მიერ - პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის დაწყებამდე და მშენებლობის ეტაპზე. ინჟინერ-კონსტრუქტორები ასევე მიიღებენ მონაწილეობას ფოკუს ჯგუფებთან გამართულ შეხვედრებში - პროექტირების ეტაპზე, აღნიშნული ინდივიდების სპეციფიკური საჭიროებების პროექტში გათვალისწინების (ასახვის) მიზნით (მაგ.:შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის მისასვლელის გაუმჯობესება შენობების კონსტრუქციული გაუმჯობესების შემთხვევაში). აღნიშნული ინჟინერ-კონსტრუქტორები დაქირავებულნი იქნებიან ამ პროექტისთვის.

**ციფრული მედიის ჩართულობა**

ინფორმაციის გაზიარების მიზნით გამოყენებული იქნება მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებგვერდი და კომუნიკაციის სხვა საშუალებები. ბენეფიციარებს ექნებათ კითხვების/შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა. მუნიციპალური განვითარების ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIU) კონსულტანტის დახმარებით, პასუხისმგებელი იქნება მონიტორინგსა და წარმოდგენილ შენიშვნებზე, კითხვებზე და ფოტოებზე რეაგირების პროცესზე, საჭიროებისამებრ.

**შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან**

ტექნიკური პროექტის ავტორი (დიზაინერი) და პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIU) კონსულტანტი საჭიროებისამებრ, მიაწვდის განახლებულ ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაციას „საქართველოს ხელოვნების და კულტურის ცენტრი“, იმ პროცესების შესახებ, რაც განხორციელდა ნუსხაში წარმოდგენილი შენობების დაცვის მიზნით (თუ მოხდა მათი შერჩევა პროექტის ფარგლებში).

**შეხვედრები ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან (EBRD) გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე (E&S)**

მშენებლობის ეტაპის დროს, მუნიციპალური განვითარების ფონდი ყოველწლიურად (და საჭიროების შესაბამისად) წარუდგენს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს განახლებულ ინფორმაციას გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხების შესახებ. აღნიშნული სიახლეები ასახავს სესხის რატიფიცირებამდე შეთანხმებული გარემოსდაცვითი და სოციალური აქტივობების განხორციელებას, რაც მოიცავს კონტრაქტორების და ზედამხედველი ინჟინრის მიერ განსახორციელებელ ქმედებებს.

# 6. ანგარიშგება და საჩივრების მექანიზმი

## 6.1. მონიტორინგის, ანგარიშგების და გამოხმაურების მექანიზმები

მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს საკომუნიკაციო არხების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს გამოხმაურების შესაძლებლობას. დაინტერესებული მხარეებისთვის საჩივრებისთვის განკუთვნილი ყუთები განთავსდება საპროექტო ობიექტებზე და მუნიციპალური განვითარების ფონდის სათაო ოფისში; საჩივრის წარდგენა ასევე შესაძლებელი იქნება ელექტრონულად, ტელეფონით და ელექტრონული ფოსტითყველა საჩივარი რეგისტრირებული იქნება საჩივრების ჟურნალში მუნიციპალური განვითარების ფონდის საკონტაქტო პირის მიერ. საკონტაქტო პირი, რომელიც  პასუხისმგებელი იქნება გასაჩივრების მექანიზმის ფუნქციონირებაზე, დაინიშნება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ; მისი საკონტაქტო მონაცემები ეცნობება დაინტერესებულ მხარეებს საჯარო განხილვებისა და საკონსულტაციო შეხვედრებზე. საჩივრების მოგვარების მექანიზმი ორ ეტაპიანი პროცესია, რომელიც ქვემოთ დეტალურადაა აღწერილი.

დაინტერესებული მხარების ჩართულობის გეგმის განხორციელების და საჩივრების მექანიზმის ფუნქციონირების მონიტორინგის მიზნით, მუნიციპალური განვითარების ფონდი მშენებლობის დაწყებამდე დაუდასტურებს ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს (EBRD), რომ მონიტორინგისთვის საჭირო ყველა მექანიზმი ძალაშია და მოქმედებს. ეს მექანიზმები მოიცავს საჯარო მოსმენებზე დოკუმენტაციის გაზიარებას, ინფორმაციის გასაჯაროებას და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ნებისმიერ სხვა ფორმას, რომლებიც განხორციელდება წინამდებარე გეგმის ფარგლებში. მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ წარდგენილი ყოველწლიური გარემოს დაცვის და სოციალური (E&S) ანგარიშის შესაბამისად, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD) მოახდენს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის განხორციელების ყოველწლიურ შეფასებას.

## 6.2. საჩივრების მექანიზმი

მუნიციპალური განვითარების ფონდი აამოქმედებს საჩივრების მოგვარების მექანიზმს, რომელიც წინასწარ იქნება შექმნილი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

ნებისმიერი შენიშვნის ან წუხილის კომპანიისთვის მიწოდება შესაძლებელი იქნება სიტყვიერად, წერილობით, ან საჩივრის ფორმის შევსების გზით. საჩივრის ფორმა და პროცედურის შესახებ ინფორმაცია (საკონტაქტო პირების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით) ხელმისაწვდომი იქნება მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებგვერდზე - კონსულტაციების და საჯარო განხილვებთან დაკავშირებული სხვა აქტივობების დროს და ასევე 200 საჯარო შენობაში - მშენებლობის დაწყებისთანავე. საინფორმაციო ბანერები განთავსდება ყველა სამშენებლო უბანზე არსებულ საინფორმაციო დაფაზე.

საჩივრების მოგვარების მექანიზმზე პასუხისმგებელი საკონტაქტო პირი დაინიშნება მუნიციპალურ განვითარების ფონდის მიერ. ყველა საჩივარი, ანონიმური საჩივრების ჩათვლით, აღირიცხება საჩივრების მოგვარების მექანიზმის ჟურნალში. ზედამხედველი

კომპანია/კომპანიები და მუნიციპალური განვითარების ფონდი მჭიდროდ ითანამშრომლებენ და გაუზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას ყველა საჩივრის ან უკმაყოფილების შესახებ.

მუნიციპალური განვითარების ფონდის საჩივრების მოგვარების მექანიზმის ჟურნალში შეტანილი იქნება შემდეგი ინფორმაცია:

- მომჩივანის ნომერი
- დონორი
- პროექტი
- ადგილმდებარეობა, მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი,
- წარდგენის ტიპი
- კატეგორია
- სქესი
- შეზღუდული შესაძლებლობები
- ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანის სახელი
- მისამართი
- საჩივრის მიღების თარიღი
- საჩივრის შეტანის წესი
- საჩივრის მიმღები პირი
- პასუხის თარიღი
- საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი
- პრობლემური საკითხის/საჩივრის აღწერა
- ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანის საკონტაქტო ინფორმაცია
- შენიშვნები, განხორციელებული ქმედებები
- მონაწილე უწყებები
- საკითხის სტატუსი
- დღეების რაოდენობა საჩივრის მიღებასა და საჩივრის დადასტურებას შორის
- დღეების რაოდენობა საჩივრის მიღებასა და საჩივრის გადაწყვეტას შორის.

საჩივარი შეიძლება წარდგენილი იქნას წერილობით ან სიტყვიერად, ელექტრონული ფოსტის (feedback@mdf.org.ge ) ან სატელეფონო ზარის (+995 598 88 20 19) მეშვეობით.

## 6.3. საჩივრის გადაწყვეტა

საჩივრების შეტანა შესაძლებელია უბანზე არსებული საჩივრების ყუთის მეშვეობით ან კომუნიკაციის სხვა არხების გამოყენებით, როგორიცაა ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი, ვებგვერდი. საჩივრის ფორმები ხელმისაწვდომი იქნება უბნებზე და დაინტერესებულ მხარეებს ექნებათ ანონიმური საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში. თუ საჩივრის წარდგენა მოხდა უბანზე, კონტრაქტორები პასუხისმგებლები იქნებიან საჩივრის რეგისტრირებაზე და მის გადაწყვეტაზე პირველი ეტაპის პროცედურების შესაბამისად. თუ კონტრაქტორი ვერ შეძლებს საჩივრის გადაწყვეტას, პროცესში ჩაერთვება მუნიციპალური განვითარების ფონდი, მე-2 ეტაპის პროცედურების შესაბამისად. ზედამხედველი კომპანია პასუხისმგებელი იქნება კონტრაქტორი კომპანიის

მიერ რეგისტრირებული საჩივრის მიღებასა და მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის გადაცემაზე. დაინტერესებულ მხარეებს მიეცემათ შესაძლებლობა გამოიყენონ ერთ-ერთი ეტაპი საჩივრის წარდგენისთვის. მათ შეეძლებათ პირდაპირ მიმართონ მე-2 ეტაპის პროცედურებს.

ყველა სიტყვიერი, თუ წერილობითი პრეტენზია, ან საჩივარი მიღებისთანავე იქნება რეგისტრირებული კონტრაქტორების, ან მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. საჩივრებზე რეაგირება მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საჩივრის მიღების დადასტურება და რეაგირება (პირველი პასუხი) მოხდება 10 სამუშაო დღეში. საჩივრის გადაწყვეტა მოხდება 30 ან 60 სამუშაო დღეში, საჩივრის სირთულის შესაბამისად. მუნიციპალური განვითარების ფონდის მიზანი იქნება მიღების დღიდან რაც შეიძლება სწრაფად უპასუხოს მომჩივანს და გადაჭრას პრობლემა.

მომჩივან ადამიანებს ექნებათ უფლება მოითხოვონ მათი ვინაობის კონფიდენციალურობის დაცვა; ეს მექანიზმი არ ზღუდავს დაინტერესებული პირების უფლებას საჩივარი გადაწყვიტონ სასამართლო გზით.

საჩივრების შეტანა და მათი გადაწყვეტა განხორციელდება ქვემოთ აღწერილი პროცედურების მიხედვით:

- **ეტაპი 1** – კონტრაქტორები ზედამხედველ კომპანიასთან/კომპანიებთან ერთად მიიღებს და გადაწყვეტს საჩივრებს. თუ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის საჩივარი არ გადაწყდა პირველ ეტაპზე, მას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია საჩივრის გადაწყვეტის მე-2 ეტაპის პროცედურების შესახებ. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს აქვს უფლება პირდაპირ გამოიყენოს მე-2 ეტაპის პროცედურა. მუნიციპალური განვითარების ფონდს ეცნობება პირველ ეტაპზე რეგისტრირებული ყველა საჩივრის შესახებ და ამ საჩივრების გადაწყვეტის პროცესს ფონდი დააკვირდება დისტანციურად.
- **ეტაპი 2** – მუნიციპალური განვითარების ფონდი მიიღებს და გადაწყვეტს საჩივარს. საჩივრის მოგვარების კომიტეტი ფუნქციონირებს მუნიციპალური განვითარების ფონდში, საჩივრების მოსაგვარებლად (დანართი 1).

ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს იმ შემთხვევაში, თუ მისი საჩივრის დაკმაყოფილება არ მოხდა პირველ და მე-2 ეტაპზე.

## 6.4. ფუნქციები და პასუხისმგებლობები

მუნიციპალური განვითარების ფონდს, როგორც განმახორციელებელ ორგანოს ეკისრება პროექტის განხორციელების და შესაბამისობის უზრუნველყოფის ვალდებულება. ფონდი ასევე უზრუნველყოფს, რომ პროექტთან დაკავშირებული ყველა საქმიანობა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის პოლიტიკის შესაბამისად.

საკონტაქტო ინფორმაცია:

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

მისამართი: მე-3 სართული, #150 დავით აღმაშენებლის გამზ., 0112, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: (99532) 2437001; 2437002; 2437003; 2437004
ფაქსი: (99532)2437077
ელექტრონული ფოსტა: mdf@mdf.org.ge

საზედამხედველო კომპანია/კომპანიებიდა კონტრაქტორები დახმარებას გაუწევენ მუნიციპალური განვითარების ფონდს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის განხორციელების პროცესში წარმოდგენილი საჩივრების მოგვარებაში. ყველა საჩივარი, რომელიც წარედგინება საზედამხედველო კომპანიას/კომპანიებს ან კონტრაქტორებს, აღირიცხება ობიექტზე და გადაეცემა მუნიციპალური განვითარების ფონდს. საზედამხედველო კომპანიისთვის/კომპანიებისთვის და კონტრაქტორებისთვის აღნიშნული პირობა განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციაში და საზედამხედველო კომპანიის/კომპანიების და კონტრაქტორების ქცევის კოდექსში.

# დანართი I –საჩივრების პროცედურა და საჩივრის ფორმა

## დანართი I.1. კომიტეტის მიერ საჩივრის განხილვის პროცესის ამსახველი სქემა



**დანართი I.2. საჩივრის ფორმა**

## თქვენი გამოხმაურება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია

*თქვენი გამოხმაურება შესაძლოა ჩვენთვის იყოს პრობლემების გამოსწორების და ჩვენი საქმიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობა*

## გაგვიზიარეთ თქვენი აზრი

1. პროექტის დასახელება / სამუშაოს ადგილმდებარეობა - მუნიციპალიტეტი, დაბა, სოფელი, ქუჩა

2. შენიშვნა ☐ ინფორმაცია ☐ შემოთავაზება ☐ (გთხოვთ შეავსოთ მხოლოდ შენიშვნის, ინფორმაციის ან შემოთავაზების გაზიარების შემთხვევაში

3. მომჩივანი ☐ (გთხოვთ შეავსოთ საჩივრის შემოტანის შემთხვევაში)

საკითხის აღწერა:

მოთხოვნა:

**თუ გსურთ, რომ საჩივარი დარჩეს ანონიმური, გთხოვთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეავსოთ მხოლოდ თარიღი**

| | |
|---|---|
| თარიღი: | ტელეფონის ნომერი: |
| სრული სახელი:<br>პირადი ნომერი: | მისამართი: |
| ელ. ფოსტა: | ხელისმოწერა: |

გთხოვთ ფორმა დააბრუნოთ შემდეგ მისამართზე:

**მუნიციპალური განვითარების ფონდი**
ნუცა გუმბერიძე
ბენეფიციარებთან ურთიერთობის სპეციალისტი
მე-3 სართული, #150 დავით აღმაშენებლის გამზ., 0112, თბილისი, საქართველო
(99532) 2437001
ngumberidze@mdf.org.ge

# დანართი II – შენობების ჩამონათვალი

| No. | შენობის დასახელება | მუნიციპალიტეტი | შენობის ტიპი | შენობის წარმომადგენელი |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| 3 | | | | |
| 4 | | | | |
| 5 | | | | |
| 6 | | | | |
| 7 | | | | |
| 8 | | | | |
| 9 | | | | |
| 10 | | | | |
| და ა.შ. | | | | |
| | | | | |